სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закфронта «Боец РККА» на грузинском языке

№ 51 (311) | პარასკევი, 27 აპრილი | 1945 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 26 აპრილს, მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად, დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი ბრნო (ბრიუნი) — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ბრნოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ მანაგაროვის, გენერალ-ლეიტენანტ ტერენტიევის, გენერალ-ლეიტენანტ საფიულინის, გენერალ-მაიორ იაკოვლევის, გენერალ-მაიორ აფონინის, გენერალ-მაიორ მერკულოვის, გენერალ-მაიორ მილიაევის, გენერალ-მაიორ ობუშენკოს, გენერალ-მაიორ ესინის, გენერალ-მაიორ ზდანოვიჩის, პოლკოვნიკ ბალდინოვის, პოლკოვნიკ დობროვოლსკის, პოლკოვნიკ ბუშინის, პოლკოვნიკ სობოლევის, პოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის, პოლკოვნიკ მალჩევსკის, პოლკოვნიკ ხელეზნევის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ პლიევის, გენერალ-ლეიტენანტ კამკოვის, გენერალ-მაიორ კუცის, გენერალ-მაიორ პავლოვის, გენერალ-მაიორ ხრუსტალევის, გენერალ-მაიორ ბელოუსოვის, გენერალ-მაიორ შმუილოს, პოლკოვნიკ რევის, პოლკოვნიკ გუგანოვის კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ გუსევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პავლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოპოვიჩის, პოლკოვნიკ პოგრელის, პოლკოვნიკ მარჩენკოს, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოლკოვნიკ მაკაროვის, პოლკოვნიკ კოროტეევის, პოლკოვნიკ ადამჩიკის, პოდპოლკოვნიკ მატიუხის, პოლკოვნიკ ვლადიმიროვის, პოლკოვნიკ გრიშინის, პოდპოლკოვნიკ კალინინის, პოდპოლკოვნიკ კისლის, პოდპოლკოვნიკ მისნიკის, პოდპოლკოვნიკ მოქევსკის, პოდპოლკოვნიკ კლიმანოვის, მაიორ კოსტილევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ შტრომბერგის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლკოვის, გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ საველიევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კატკოვის, პოლკოვნიკ ლაპტევის, პოლკოვნიკ ლიაშჩენკოს, პოლკოვნიკ საფიულინის, პოლკოვნიკ ოსტაპენკოს, პოლკოვნიკ ვორონოვის, პოდპოლკოვნიკ ებუდკინის, პოდპოლკოვნიკ პროკოფიევის, პოდპოლკოვნიკ ემელიანოვის, პოდპოლკოვნიკ სოროჩინსკის, პოდპოლკოვნიკ მიხნოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სელეზნევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კამანინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სტეპიჩევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოდგორნის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ტოლსტიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ სმირნოვის, პოლკოვნიკ შუტეევის, პოლკოვნიკ ჩიჟიკოვის, პოლკოვნიკ ბლაგოვეშჩენსკის, პოლკოვნიკ ხაპრიკინის, პოლკოვნიკ კლობუკოვის, პოლკოვნიკ ხემენენკოს, პოლკოვნიკ იუდაკოვის, პოლკოვნიკ ტარანენკოს, პოლკოვნიკ ნედოსეკინის, პოლკოვნიკ გეიბოს, პოლკოვნიკ ულიანოვსკის, პოლკოვნიკ ტერეხოვის, პოლკოვნიკ რომანოვის, პოლკოვნიკ ჩანპალოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ცირლინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტუპიჩევის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტიულევის, პოლკოვნიკ ფადეევის, პოლკოვნიკ ისაევის, პოლკოვნიკ მიასნიკოვის, პოდპოლკოვნიკ ბადაევის, პოდპოლკოვნიკ ვორობიოვის, პოდპოლკოვნიკ გოლუკოვიჩის, მაიორ კოსტინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ლეონოვის, პოლკოვნიკ მაკარენკოს, პოლკოვნიკ შერვუდის, პოლკოვნიკ დავიდოვის, მაიორ შიშელოვის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბრნოს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 აპრილს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბრნო.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრნოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 აპრილი. № 345.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
26 აპრილის ოპერატიული ცნობა

26 აპრილს განმავლობაში ქალაქ პილაუს სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს არხი, რომელიც ბალტიის ზღვას ფრიშ გაფის ყურეს აერთებს, და ავითარებდნენ შეტევას ფრიშ ნერუნგის ისარზე.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი შტეტინის სამხრეთით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და წინ წაიწიეს 30 კილომეტრით. ბრძოლების მსვლელობაში

(დასასრული მე-4 გვ.)

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი შტეტინის სამხრეთით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და წინ წაიწიეს 30 კილომეტრით.

ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს პომერანიის მთავარი ქალაქი და დიდი საზღვაო ნავსადგური — შტეტინი, აგრეთვე ქალაქები გარტცი, პენკუნი, კაზეკოვი, შვედტი.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბატოვის, გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვის, გენერალ-პოლკოვნიკ გრიშინის, გენერალ-ლეიტენანტ ბოგკოვის, პოლკოვნიკ პენჩევსკის, გენერალ-ლეიტენანტ კინოსიანის, გენერალ-ლეიტენანტ დრატვინის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანიშევის, გენერალ-ლეიტენანტ რიაბიშევის, გენერალ-მაიორ ჩუვაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ერასტოვის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეევის, გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვის, პოლკოვნიკ ბელიაევის, პოლკოვნიკ ტრუდოლიუბოვის, პოლკოვნიკ მურატოვის, პოლკოვნიკ კარპელიუკის, გენერალ-მაიორ კირსანოვის, გენერალ-მაიორ ტიმოფეევის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ კალაძის, პოლკოვნიკ გოლუბევის, პოლკოვნიკ ვაროხინის, გენერალ-მაიორ გრებენიკის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, გენერალ-მაიორ ტერემოვის, პოლკოვნიკ ველიჩკოს, გენერალ-მაიორ ბორისოვის, გენერალ-მაიორ სკოროგობატკინის, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, პოლკოვნიკ აფანასიევის, პოლკოვნიკ ოგიენკოს, პოლკოვნიკ ემელიანენკოს, პოლკოვნიკ ჩეტვერტუხინის, პოლკოვნიკ შეპელის, პოლკოვნიკ გორიჩევის, გენერალ-მაიორ გუსევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ სოკოლსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დეგტიარევის, არტილერიის გენერალ-მაიორ კარეპინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხელსონის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბესკინის, პოლკოვნიკ ზახაროვის, პოლკოვნიკ ლეონოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროვის, პოლკოვნიკ დროზდოვის, პოლკოვნიკ ოსტანკოვიჩის, პოლკოვნიკ სუკაჩევის, პოლკოვნიკ მალიავსკის, პოლკოვნიკ დეგტიარენკოს, პოლკოვნიკ კულეშოვის, პოდპოლკოვნიკ ტიხონოვის, პოლკოვნიკ ვასილენკოს, პოლკოვნიკ რიბკინის, პოლკოვნიკ კულიჩუკის, პოლკოვნიკ აკიმუშკინის, პოლკოვნიკ გორმოტინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიავსკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვაკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პეტრუშინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შულგინის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ კონოვალოვის, პოლკოვნიკ იგონინის, პოდპოლკოვნიკ სივკოვის, პოლკოვნიკ ანტონოვის, პოდპოლკოვნიკ იგნატოვის, პოდპოლკოვნიკ რაზუვალოვის, პოლკოვნიკ ლოჟკინის, პოდპოლკოვნიკ კოჟემიაჩკოს, პოლკოვნიკ სოკოლოვის, მაიორ გელიუსის, მაიორ კაშკინის, პოდპოლკოვნიკ სიტკოვის, პოდპოლკოვნიკ სლობოდიანის, პოდპოლკოვნიკ შევჩენკოს, პოდპოლკოვნიკ პოვაროვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვერშინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსეევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბაიდუკოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ოსიპენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ფედოროვის, პოლკოვნიკ პუშკარევის, ავიაციის გენერალ-მაიორ გეტმანის, პოლკოვნიკ სმოლოვიკის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ ტიხომიროვის, პოლკოვნიკ გრიშჩენკოს, პოლკოვნიკ ვინოგრადოვის, პოლკოვნიკ ვუსის, პოლკოვნიკ ოსიპოვის, პოლკოვნიკ იაკუშინის, პოლკოვნიკ რიბაკოვის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოლკოვნიკ პოკოევის, პოდპოლკოვნიკ ბარდეევის, პოლკოვნიკ ტიურინის, პოდპოლკოვნიკ ელისეევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბლაგოსლავოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შვიდკოის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ვიტვინინის, პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის, პოდპოლკოვნიკ გულტიაევის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ ბალანდინის, პოდპოლკოვნიკ ორდანოვსკის, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლკოვნიკ შიტიკოვის, პოლკოვნიკ ვიზიროვის, პოლკოვნიკ ვინკოვის, პოლკოვნიკ დობიჩინის, მაიორ საქსის, მაიორ ვორონოვის, მაიორ კოჟინის, პოლკოვნიკ კლემენტიევის, მაიორ შჩეტინიკოვის, მაიორ ხარიტონოვის, პოდპოლკოვნიკ შჩუკინის, პოლკოვნიკ შტეინის, პოლკოვნიკ მიროტვორსკის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ გორზოვის, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოდპოლკოვნიკ პროცეროვის, პოლკოვნიკ მიხაილოვის, პოლკოვნიკ ვოლოდკევიჩის, პოლკოვნიკ ხომიაკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და შტეტინის და სხვა დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „შტეტინის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 აპრილს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით, ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისას წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 აპრილი. № 344.

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1943 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1945 წლის 24 აპრილს*

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XI სესია დიდი ისტორიული დღეებში შეიკრიბა.

[illegible]

1943 და 1944 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

[illegible]

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხანაგო დეპუტატებო! [illegible]

შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან

[illegible]

*) [illegible]

(დასასრული 3 გვ.)

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1943 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1945 წლის 24 აპრილს

(დასასრული)

[illegible]

მოსახლეობისაგან შემოსული სახსრები

[illegible]

სამხედრო ხარჯების დაფინანსება

[illegible]

სახალხო მეურნეობის დაფინანსება

[illegible]

(მილიარდ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
სულ სახალხო მეურნეობაზე	49,0	64,5	31,8
მათ შორის:			
მრეწველობა	27,3	35,9	31,5
სოფლის მეურნეობა	7,0	9,2	31,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7,7	9,8	27,3
ვაჭრობა და დამზადებანი	1,2	1,7	41,7
კომუნალური და საბინაო მეურნეობა	1,8	2,9	61,1

[illegible]

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

[illegible]

(მილიონ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
განათლება	20,440	28,591	39,9
ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა	10,210	13,194	29,2
სახელმწიფო სოციალური დახმარება	3,856	5,202	34,9
სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს	872	1,407	61,3
სოციალური უზრუნველყოფა	15,636	17,695	12,8

მმართველობის ხარჯები

[illegible]

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები

[illegible]

(მილიონ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
რუსეთის სფსრ	23,556	28,588	21,4
უკრაინის სსრ	5,355	9,124	70,4
ბელორუსიის სსრ	720	2,377	230,1
აზერბაიჯანის სსრ	971	1,183	21,8
საქართველოს სსრ	1,223	1,456	19,0
სომხეთის სსრ	572	650	13,6
თურქმენეთის სსრ	417	516	23,7
უზბეკეთის სსრ	1,719	2,160	25,7
ტაჯიკეთის სსრ	498	651	30,7
ყაზახეთის სსრ	1,437	1,885	31,2
ყირგიზეთის სსრ	407	562	38,1
კარელო-ფინეთის სსრ	153	288	88,3
მოლდავეთის სსრ	170	540	217,7
ლიტვის სსრ	169	728	330,8
ლატვიის სსრ	156	792	407,7
ესტონეთის სსრ	130	698	436,9
სულ	37,653	52,198	38,6

[illegible]

* * *

[illegible]

დიდება გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაამთავრა ბერლინის მთლიანი გარემოცვა!

აღსრულდა ჩვენი ოცნება

ჩვენ გაზეთს ვკითხულობდით. რამდენიმე მებრძოლი გეოგრაფიულ რუკასთან იდგა, მათ გაცხოველებული სჯა-ბაასი ჰქონდათ. ზოგი [illegible] და მაშინ, თანამოძმეთა, მაგრამ აი რადიოში უეცრად გაისმა სანიშნო ხმა, ერთი წუთით ჩაჩუმდა სანგრებში ცხოვრება. თითოეული მეგობრის გულმა თითქოს იგრძნო, რომ ეს უნდა ყოფილიყო ის, რასაც ასე ელოდებოდნენ ჩვენ, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა მთელი ქვეყანა.

[illegible] თითქმის მთელი ასეული მოგროვდა. რა სიხარული იყო მოზღვავებული თითოეულის სახეზე! რამდენი რამ გაუძლია საოცარი! მაგრამ მოულოდნელი [illegible] გაისმა [illegible] ხმა — ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა...

ჩვენი ოცნება განხორციელდა: საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის ჯარები შეიჭრნენ ბერლინში.

სახელდახელო მიტინგზე ქვეგანყოფილების მებრძოლებმა [illegible] სერჟანტმა გ. [illegible] სიტყვით სთქვა:

— ამხანაგებო, რამდენი რამ მინდა გითხრათ, მაგრამ განა სიტყვით შეიძლება გამოვხატო ის სიხარული, რასაც ამჟამად განიცდის თითოეული ჩვენთაგანი? ეს ხომ ჩვენი განუყრელი ოცნება იყო ამ ოთხი წლის მანძილზე და აი აღსრულდა. ფაშისტი მხეცის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ჩვენს თვალწინ ინგრევა. მამაცი საბჭოთა ჯარები ბერლინში იბრძვიან. მსოფლიოს ბატონობაზე მეოცნებე მხეცს საკუთარ ბინაზეც ცეცხლის წვიმას უშენენ საბჭოთა ქვემეხები. ჩვენ არ ვიცით—შეიძლება ერთი საათის შემდეგ, შეიძლება ერთი დღის შემდეგ იქნება ბრძანება ბერლინის დაცემის შესახებ. ეს ხომ უკვე საათების ამბავია, იგი უსათუოდ იქნება, საბჭოთა ჯარები ჩვენ მოკავშირეებთან ერთად ბერლინში აღმართავენ გამარჯვების დროშას. აი სტალინური წინასწარხედვის კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითი.

ტრიბუნაზე წითელარმიელი ნ. გორდეზიანი. იგი ლაპარაკობს იმ უდიდეს სასიხარულო ცნობაზე, რაც აღაფრთოვანებს მთელ დემოკრატიულ მსოფლიოს. ყველანი დაძაბულად უსმენენ მას. მაგრამ, აი რადიოში კვლავ ისმის სანიშნო ხმა, ისევ სახეებზე ღიმილი [illegible].

დიქტორის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ჯარები სამხრეთ დასავლეთიდან ბერლინში შეიჭრნენ, ფარავს მებრძოლთა ერთსულოვანი „ურას" გუგუნი.

ბრძანების შემდეგ კვლავ გრძელდება მიტინგი.

—ამხანაგებო, გადაწყდა ფაშისტის ბედი,— ლაპარაკობს წითელარმიელი გ. ლომიძე. — ბერლინის ქუჩებში ახლა სისხლისმღვრელი ბრძოლებია. იქ, ახლა განსაკუთრებული მამაცობით იბრძვიან ჩვენი ჯარები და ახალ სასწაულებს ახდენენ. რას ავალებს კიდევაც ეს თითოეულ ჩვენგანს? ვისწავლოთ მათგან ბრძოლა, ვისწავლოთ [illegible] დარტყმა მტრისათვის. ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებათა დღეებში ჩვენ უფლება არა გვაქვს დავკმაყოფილდეთ კარგი მაჩვენებლით. ახლა ფრონტზე, მხოლოდ ფრიადზეა საჭირო სწავლა.

უფრ. სერჟანტი თ. აბაშიძე.

წითელარმიულ მიტინგზე

მარშალ ჟუკოვისა და მარშალ კონევის ჯარების მიერ ბერლინის სრული გარშემორტყმის ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ჩვენი ბატალიონის პირად შემადგენლობას. ენით გამოუთქმელ სიხარულს განიცდის თვითეული ჩვენგანი. მებრძოლები ჯგუფ-ჯგუფად არიან შეგროვილი რუკასთან, აღტაცებული სახით შესცქერიან წითელ ისრებს, რომლებიც ახლახან დახაზეს რუკაზე. მათი წვერი ყოველ მხრიდან მიბჯენილია ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის გულში. აგიტატორები, მკითხველ-მესაუბრეები აღფრთოვანებით მოუთხრობენ მებრძოლებს ამ დიად ოპერაციაზე, მოაგონებენ დიდი ბელადის ბრძენი მარშალის ამხანაგ სტალინის მოხსენებას ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე, სადაც მან სთქვა: „ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში".

— აი სტალინური წინასწარმეტყველების ბრწყინვალე დადასტურება, აი ჩვენი სანუკვარი ოცნების დღე—აღტაცებით ლაპარაკობენ მებრძოლები კულუმბერგაშვილი, გავაშელიშვილი და სხვ.

ადრე დილით ბატალიონში შესდგა სახელდახელო მიტინგი. წითელარმიულ „ურას" ძახილით შეხვდნენ მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას ბელორუსიის 1-ლი და უკრაინის 1-ლი ფრონტების ჯარებისადმი.

— მთელი ჩვენი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა ამ ძვირფას დღეს. წითელმა არმიამ შეანგრია ფაშისტური მხეცის უკანასკნელი ციტადელი. ხვალ თუ ზეგ ბერლინი საბოლოოდ გაიწმინდება ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან. ახლოვდება პირველი მაისიც. რა სიხარულით ვეგებებით ჩვენ ამ დღესასწაულს! რა ბრწყინვალეა ჩვენი გამარჯვებანი! ამ ისტორიულ დღეებში თვითეული ჩვენთაგანის ვალია კიდევ უფრო მეტად დაძაბოს ენერგია, კიდევ უკეთ ისწავლოს სამხედრო საქმე, —ამბობს თავის სიტყვაში უფროსი ლეიტენანტი ამხ. ჭეიშვილი.

კვლავ გაისმის წითელარმიული „ურას" გუგუნი.

მიტინგი მთავრდება. მწყობრი ნაბიჯებითა და ვაჟკაცური სალაშქრო სიმღერით ბატალიონი სასროლო მოედანზე მიდის.

ლეიტენანტი ნ. დუშუაშვილი.

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 25 აპრილი. (სატასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა სატანკო ნაწილები, რომლებიც სწრაფად მიიწევენ წინ სამხრეთ-აღმოსავლეთით, იმყოფებიან 5 კილომეტრზე რეგენსბურგის ჩრდილო-დასავლეთით და სულ 55 კილომეტრზე ავსტრიის საზღვრიდან. ნიურნბერგის სამხრეთით მოკავშირეთა სატანკო და ქვეითი ნაწილები, რომლებმაც წინ წაიწიეს დაახლოებით 16 კილომეტრ მანძილზე ფართო ფრონტით, 11 კილომეტრზე იმყოფებიან დუნაიდან.

სწარმოებს გერმანელთა 1,250 კვადრატული კილომეტრი ფართობის „ტომრის" სისტემატური ლიკვიდაცია შტუტგარტის სამხრეთით. მოკავშირეთა ჯარები კვლავ წინ მიიწევენ შვარცვალდის ტყის სიღრმეში, სადაც გერმანელთა ძალები გარშემორტყმული აღმოჩნდნენ.

ლონდონი, 26 აპრილი. (სატასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილები [illegible] მიიწევენ ჩრდილოეთიდან. ისინი იმყოფებიან 24 კილომეტრზე რეგენსბურგის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 29 კილომეტრზე ავსტრიის საზღვრიდან.

უფრო აღმოსავლეთით მოკავშირეები იბრძვიან 10-მილიან უბანზე დუნაის ნაპირზე რეგენსბურგის დასავლეთით სამ კილომეტრზე მდებარე პუნქტიდან ულმამდე.

შტუტგარტის სამხრეთით „ტომარაში" დაკავებულია მთელი რიგი ქალაქები. სწარმოებს „ტომრის" ლიკვიდაცია.

მოკავშირეებმა მიაღწიეს ზღვას ჰოლანდია-გერმანიის საზღვართან. ამის შედეგად იზოლირებულია გერმანელების დაჯგუფება დელფზეილის რაიონში.

24 აპრილს მოკავშირეებმა ტყვედ წამოიყვანეს 43,000-ზე მეტი კაცი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 აპრილის ოპერატიული ცნობა

(დასასრული)

ფრონტის ჯარებმა დაიკავეს პომერანიის მთავარი ქალაქი და დიდი საზღვაო ნავსადგური შტეტინი, აგრეთვე ქალაქები გარტცი, პენკუნი, კაზეკოვი, შვედტი, დიდი დასახლებული პუნქტები შტეფენი, შვენნეცი, გლაზოვი, გაგემიულე, ფრიდრიხსვალდე, გრიუნცი, ვარტინი, ბლიუმბერგი, შტენდელი, ფირადენი და გადალახეს არხი რანდოვი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს ბერლინის ქუჩებში და დაიკავეს ქალაქის რაიონები ბარტენშტადტი, სიმენსშტადტი და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გერლიცის ვაგზალი. ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრონტის ჯარებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ფინოვი, ფინოვფურტი, მარიენვერდერი. ფრანკფურტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ოდერზე ფრონტის ჯარებმა, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები კენიგს-ვუსტერჰაუზენი, ნოიე-მიულე, შტორკოვი, ბეესკოვი, ლიბეროზე და დიდი დასახლებული პუნქტები ზენციგი, ბუსოვი, გროს-შაუენი, დამსდორფი, აერცბერგი, ვერსდორფი, შტრემენი, ტრებაჩი, მიტვეიდე, გროს-ლეიტენი, მოხოვი. 25 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2,000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი ალაფი: 70 თვითმფრინავი, 80 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 948 საველე ქვემეხი, 1,487 ავტომანქანა, 68 ორთქლმავალი, 3,404 რკინიგზის ვაგონი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ბერლინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ქუჩებში და დაიკავეს ქალაქის რაიონი დალემი. მდინარე ელბის დასავლეთ ნაპირზე ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ტორგაუ და სტრელა. ბაუცენის რაიონში ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშების მოგერიებას. 25 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1,500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 228 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და 236 საველე ქვემეხი.

ბრესლაუში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ ქალაქის დასავლეთ ნაწილის ქუჩებში, სადაც დაიკავეს 28 უბანი, რამდენიმე საქარხნო რაიონი და არსენალის უდიდესი ნაწილი, სადაც ხელთ იგდეს 110 ქვემეხი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 26 აპრილს მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი ბრნო (ბრიუნი) — გზების მნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ველეშოვიცე, იზერა, მოკრა, მალომერჟიცე, ობრჟანი, კობოუტოვიცე, შებეტინი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და ზვერვები მოქმედებდნენ.

25 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებულია და განადგურებულია გერმანელთა 194 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

* * *

მდინარე ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე, შტეტინის სამხრეთით მდებარე ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა მებრძოლებს უძნელესი ამოცანა ჰქონდათ შესასრულებელი — უნდა გადაელახათ აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი და ამ მდინარეების შუა მდებარე დაჭაობებული ზოლი, 2-დან 4 კილომეტრამდე სიგანისა. ავიაციისა და არტილერიის დახმარებით ჩვენი ქვეგანაყოფები, რომლებიც კვამლის ფარდას ამოეფარნენ, ბორნებითა და ნავებით გადავიდნენ აღმოსავლეთ ოდერზე. მესანგრეებმა სწრაფად გაიყვანეს გადასასვლელები და ჭაობებზე [illegible] გზები გაიყვანეს. შემდეგ საბჭოთა ქვეითებმა დასავლეთი ოდერი გადალახეს და ბრძოლებით გაიჭრეს პლაცდარმი მის მარცხენა ნაპირზე. გერმანელები ცდილობდნენ მძლავრი თავდაცვითი სიმაგრეების [illegible] და გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მათ არაერთხელ მიიტანეს კონტრიერიში, ცდილობდნენ რადაც უნდა დაეგდოთ წყალში ჩვენი ჯარები. მტრის მფრინავებმა ძალით მცურავი ნაღმი ჩაყარეს ოდერში, ცდილობდნენ [illegible] გაეფუჭებინათ ხიდები. საბჭოთა [illegible] ან წყალშივე აფეთქებდნენ გერმანელთა ნაღმებს, რათაც თავიდან აიცილონ ეს საფრთხე. [illegible], გერმანელ დივერსანტთა ჯგუფები ცდილობდნენ მიეპარონ ხიდებს და აეფეთქებინათ ისინი. ჰიტლერელი მსტოვრები დროულად აღმოაჩინეს და გაანადგურეს. ჩვენმა ჯარებმა დიდი ძალები მოიყვანეს თავის ოდერის დასავლეთ ნაპირზე, შეტევაზე გადავიდნენ და გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ გადმოიყვანა ბრძოლების რაიონში ახალი რეზერვები, მაგრამ ვერ შეაჩერა საბჭოთა ნაწილების სწრაფი იერიში. ფრონტის ჯარებმა წარმატება განავითარეს და დღეს დაიკავეს პომერანიის მთავარი ქალაქი — შტეტინი. ბრძოლების მსვლელობაში მარტო ქალაქის მისადგომებზე მოკლულია 3,000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შტეტინი თავისი მნიშვნელობით გერმანიის მეხუთე საზღვაო ნავსადგური და დიდი სამრეწველო ცენტრია. იქ არის დიდი გემსაშენები, საავტომობილო, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნები.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ბერლინის ჩრდილოეთ რაიონებში საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა ჰიტლერელთაგან გაწმინდეს ტეგელის ტყე, დაიკავეს სამხედრო ყაზარმები და ფართო ფრონტით მიადგნენ ბერლინ-შპანდაუერ შიფარტის არხის ჩრდილოეთ ნაპირს. საბჭოთა არტილერისტებმა და მფრინავებმა მძლავრი დარტყმებით ჩააჩუმეს გერმანელთა ბატარეები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ფოლკს პარკში არხის სამხრეთ ნაპირზე. ჩვენი ჯარები არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ გადავიდნენ არხზე და ბრძოლები გაჩაღდა სიმენსშტადტის საქარხნო რაიონში. სიმენსის ქარხნების ნახევრადდანგრეულ შენობებში ჩასაფრებული გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ჩვენმა მოიერიშე ჯგუფებმა დაიკავეს გამანაწილებელი მოწყობილობათა ქარხანა, დინამომანქანების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები. დღის ბოლოს საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს სიმენსშტადტის რაიონი და მდინარე შპრეეს მიადგნენ. ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში ფრონტის ჯარებმა პლაცდარმი გააფართოვეს მდინარე შპრეეს გაღმა, გასტეხეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა და დაიკავეს გერლიცის ვაგზალი და სილეზიის სადგური.

ჩვენი ავიაცია უტევდა მოწინააღმდეგის ჯარებსა და სამხედრო ობიექტებს. ერთი დღის საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 29 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ ბერლინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ქუჩებში. ჩვენი ქვეითი ჯარის დღისით და ღამით იერიში მიაქვს ქალაქის უბნებზე და [illegible] აძევებს გერმანელებს. ქვეითებს აქტიურად ეხმარებიან არტილერია და ტანკები, რომლებიც ანგრევენ საცეცხლე წერტილებს და ანგრევენ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს. საბჭოთა ნაწილები შეიჭრნენ ქალაქის რაიონ დალემის ქუჩებში და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ბოტანიკური ბაღის ტერიტორია, მეტროპოლიტენის [illegible] სადგური და საარტილერიო პოლკის ყაზარმები. დღის ბოლოს დალემის რაიონი [illegible] გაწმენდილ იქნა მოწინააღმდეგის ჯარებისაგან. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიში მიიტანეს, მაგრამ ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და სასწრაფოდ დაიხიეს უკან.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 22 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილებმა გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვა გაარღვიეს და შეიჭრნენ ქალაქ ბრნოს აღმოსავლეთ გარეუბნებში. ამავდროულად ჩვენმა სხვა ნაწილებმა დასავლეთიდან მოუარეს ბრნოს, უკანდასახევი ყველა გზა გადაუჭრეს მტრის გარნიზონს და ქალაქში შეიჭრნენ ჩრდილო-დასავლეთიდან. ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ქვემეხებითა და ტანკებით გაძლიერებული საბჭოთა მოიერიშე ჯგუფები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ და ხელიდან სტაცებდნენ უბნებს ჰიტლერელთაგან. მოწინააღმდეგემ სცადა დასავლეთიდან გამოიყვანოს თავისი გარნიზონის დასახმარებლად, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დღეს გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი და დაიკავეს ბრნო — ჩეხოსლოვაკიის მეორე ქალაქი პრაღის შემდეგ. ხელთ ვიგდეთ დიდი ალაფი და მრავალი ტყვე.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი